

ხალხურობა-ე.ქ.) ალ. ხახანაშვილამდე და შემდეგაც სწერდნენ, მაგრამ მასავით გაბედულად არავის წამოუყენებია ხალხურობის თეორია. ამის გამო ჩვენ მას მივიჩნევთ ამ თეორიის დამწყებად (ასეთივე შეხედულების არიან პროფ. მოსე ჯანაშვილი, პროფ. იუსტ. აბულაძე და პროფ. კ.კეკელიძე“) [5. XXIV].

იმ დროისათვის, როდესაც ალ.ხახანაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის თეორია წამოჭრა, მის ხელთ ხუთიოდე ვარიანტი არსებობდა. ამის შესახებ თავად ავტორიც გვაუწყებს მის პირველ გამოკვლევაში (ამ საკითხთან დაკავშირებით—ე.ქ.), რომელიც 1890 წლის „ივერიის“ ოცდამეხუთე (№25) ნომერში დაიბეჭდა სათაურით „ხალხში დარჩენილი „ტარიელის ამბავი“ და შოთას „ვეფხისტყაოსანი“:

„ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი ჭერ-ჭერობით ვიციტ ხუთ ვარიანტად. ვრცელი და დამთავრებული ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ ჩაწერილია ფშავეთში (დ.ხიზანიშვილის მიერ —1888. №230;231)*, ამას გარდა ნაწყვეტები ამ პოემისა შეგვხვდა „ივერიის“ მე-45 ნომერში (1888 წ.) და მე-244 ნომერში (1887 წ.); ორი ვარიანტიც მე ჩავწერე ყიზლარში (№131, 1888; №165, 1888)...

გადაწყვეტილს სიტყვას საერო და სალიტერატურო „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ჭერ ვერ წარმოსთქვამს მწერლობა. ა მ ხ ა ნ ა დ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გადაწყვეტილ იქმნას, რა ურთიერთობაა ხელოვნებით დაწერილ პოემასა და ხალხში დარჩენილ ტარიელის ამბავს შორის“.

მკვლევრის პოზიცია ამ შემთხვევაში სწორია. ვარიანტების სიმცირე, რა თქმა უნდა, არ იძლევა საშუალებას, რაიმე დასკვნების უტყუარობაზე ვილაპარაკოთ. მიუხედავად ამისა, ალ. ხახანაშვილი, მის ხელთ არსებული მწირი მასალის საფუძველზე, მაინც გვთავაზობს გარკვეულ ვარაუდებს, რომელთაც მოგვიანებით კიდევ უფრო განავრცობს და მის კატეგორიულ მტკიცებასაც შეეცდება.

ამ ეტაპზე კი მეცნიერი-მკვლევარი ერთმანეთს ადარებს შოთას პოემასა და ხალხურ ვერსიებს და მიდის დასკვნამდე, რომ „საერო

* ალ. ხახანაშვილის მიერ მოხსენებული ფშაური ვარიანტი დ.ხიზანიშვილის მიერ თიანეთშია ჩაწერილი. ალ.ხახანაშვილი მას ვრცელ და დამთავრებულ ვარიანტად მიიჩნევს, თავად ჩამწერი კი გადმოგვცემს, რომ მთქმელის ნაამბობი დაცულია მხოლოდ ლექსში, პროზა კი წარმოადგენს ჩამწერისაგან „თავისი სიტყვებით“ დაწერილ გადმოცემას.